ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

საბჭოს სხდომის

ოქმი N17

27.12.2016

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. საბჭოს მდივნის ერთჯერადად არჩევა.

2. ცვლილებები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო კურიკულუმში:

2.1. საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების დამტკიცება;

2.2. ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.

3.თსუ პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №1 12/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისი საფაკულტეტო რეგულაციის მიღება.

4. სხვა

სხდომას ესწრებოდნენ:

თავჯდომარე: დეკანი, პროფ. თ. გაგოშიძე

მდივანი: პროფ. ლ. სურმანიძე

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

პროფესორი: ქ. ჭკუასელი; ასოც./პროფესორები: ვ. ნადარეიშვილი, მ. მელიქიშვილი, გ. გოროშიძე, ი.ჟვანია, ა. ქიტიაშვილი, ე. ფირცხალავა, მ. დესპოტაშვილი, მ. მესტვირიშვილი, ხ. მარწყვიშვილი, ლ. ხეჩუაშვილი, ი. პეტრიაშვილი, რ. სანაძე; ასისტ./პროფესორები: ი. აფთარაშვილი, შ. მამუკაძე, ნ. ლაბარტყავა, ი. გედევანიშვილი.

<u>სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები:</u>

ედუარდ პაირაზიანი
ანა გელაშვილი
ნათია კაპანაძე
მეგი თავბერიძე
ნინი გაბელაია
ელენე გავაშელი

ქეთევან ტუხაშვილი
სალომე თოფურია

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 27 წევრი.

განიხილეს:

1. საბჭოს მდივნის არჩევის საკითხი.

   საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ საბჭოს მდივანი, ასოცირებული პროფესორი ზაქარია ქიტიაშვილი საპატიო მიზეზის გამო ვერ ახერხებდა სხდომაზე დასწრებას. ამიტომ მან საბჭოს შესთავაზა მიმდინარე სხდომისთვის მდივნის არჩევა.

აზრი გამოთქვეს: ასოცირებულმა პროფესორმა ეკატერინე ფირცხალავამ დაასახელა პროფესორ ლალი სურმანიძის კანდიდატურა.

კენჭი უყარეს: პროფესორ ლალი სურმანიძის კანდიდატურას.

მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: ფაკულტეტის მიმდინარე საბჭოს სხსომაზე, საბჭოს მდივნის მოვალეობა ერთჯერადად შეასრულოს პროფესორმა ლალი სურმანიძემ.

2.ცვლილებები ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო კურიკულუმში:

2.1. *საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და სილაბუსებში ცვლილებების დამტკიცება.*

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც./პროფ.-მა მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა ფსიქოლოგიის საბაკალავრო სასწავლო-აკადემიურ პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და წარუდგინა შესაბამისი სასწავლო სილაბუსების ჩამონათვალი. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამას <u>*ემატება*</u> შემდეგი ახალი საგნები:

1. „გენდერი და ფსიქოანალიზი“ – მარინე ჩიტაშვილი
1. „სელფი და ეთნიკური იდენტობა“ – ვლადიმერ გამსახურდია
2. „კულტურა და ფსიქოლოგია“ – ლალი სურმანიძე, ვლადიმერ გამსახურდია
3. „შესავალი პოზიტიურ ფსიქოლოგიაში“ – ხათუნა მარწყვიშვილი
4. „ფსიქობიოგრაფია“ – ლილი ხეჩუაშვილი
5. „ცხოვრების ისტორიის კვლევა და ნარატივის ანალიზი“ – ლილი ხეჩუაშვილი
6. „ქცევითი და ემოციური აშლილობები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში“ – თეონა ლოდია
7. „იურიდიული ფსიქოლოგია“ - ვ. ნადარეიშვილი.

ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ასოც./პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს განუმარტა, რომ წარმოდგენილი დასახელებით შეიცვალა სასწავლო საგნის - „დევიაციური ქცევისა და იურიდიული ფსიქოლოგია“ - სახელწოდება.

ასოც./პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს ასევე წარუდგინა იმ სასწავლო საგნების ჩამონათვალი, რომლებიც *ამოღებულია* ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან:

1. „გამოცდილებითი სწავლა – სწავლების მეთოდები“ –რ. ჯორბენაძე
2. „სოციალური უნარების ტრენინგი“ ¬– რ. ჯორბენაძე
3. „კულტურული ფსიქოლოგია“ – ე. კვანჭილაშვილი
4. „პოლიტიკური ფსიქოლოგია“ – ე. კვანჭილაშვილი
5. „სოციალური კოგნიცია“ – ნ. სუმბაძე
6. „შესრულებული სამუშაოს შეფასება“ – თ. ბოკუჩავა
7. „ფსიქოლოგიური პროექტირების საფუძვლები ორგანიზაციებში“ – ზ. ბიგვავა
8. „სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქოლოგია“ – თ. გოგიჩაიშვილი

მ. მელიქიშვილმა აქვე აღნიშნა, რომ სილაბუსებში შევიდა ცვლილებები საათების განაწილებასა და შეფასების კრიტერიუმებში, კერძოდ, სილაბუსებში აისახა მოთხოვნა, რომ დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით უგროვდება მინიმუმ 21 ქულა.

ასოც.პროფ.-მა გ. გოროშიძემ მოითხოვა მის მიერ წარმოდგენილი ახალი სალექციო კურსების „ორგანიზაციის ურთიერთობა საზოგადოებასთან (ორგანიზაციის PR)“ და „საქმიანი ურთიერთობების“ - განხილვა და დამტკიცება. საბჭოს წევრებმა მას განუმარტეს, რომ ახალი სალექციო კურსების განხილვა წარმოადგენს არა ფაკულტეტის საბჭოს, არამედ შესაბამისი ინსტიტუტის ან დეპარტამენტის პრეროგატივას და მოუწოდეს მას ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართოს დეპარტამენტს.

სამაგისტრო პროგრამებთან დაკავშირებით მ. მელიქიშვილმა წარმოადგინა იმ საგნების ჩამონათვალი, რომლებიც *ემატება* შემდეგ სამაგისტრო პროგრამებს:

„შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგიას“:

1. „შესრულების მართვა - შესრულებული სამუშაოს შეფასება“ – თამარ ბოკუჩავა
2. „პოზიტიური ფსიქოლოგია: ბედნიერი თანამშრომელი“ – ა. ტიკარაძე
3. „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები“– ნანა სუმბაძე
4. „თვისებრივი კვლევის მეთოდები“ – ანი ქიტიაშვილი
5. „პიროვნების ფსიქოლოგია – თეორია და კვლევა“ – ირინე ჟვანია
6. „სოციალური განვითარება და სოციალური კაპიტალი“– ვახტანგ ნადარეიშვილი
7. „მცირე ჯგუფზე დაკვირვების მრავალსაფეხურიანი მეთოდები“ – სოფიო დოლიძე

„განათლების ფსიქოლოგიასა და კვლევას“:

1. „შესავალი უმაღლესი განათლების სისტემაში“ – მარიამ შურღაია
2. „ორგანიზაციული ქცევა განათლებაში” – გიორგი გოროშიძე

„გამოყენებით სოციალურ ფსიქოლოგიას“:

1. „კულტურა და ემოცია“ – თამარ აბაშიძე
2. „სოციალური გავლენები და ჯგუფის დინამიკა“ – ეკატერინე ფირცხალავა
3. „პოლიტიკური კომუნიკაციის ფსიქოლოგია“ – ელენე კვანჭილაშვილი
4. „ვიზუალური კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში“ – მაია მესტვირიშვილი

„განათლების მეცნიერებებს“

1.განათლების პოლიტიკის ძირითადი ტენდენციები – გიორგი შარვაშიძე
2.ძირითადი პროცესები უმაღლეს განათლებაში – რ. სანაძე, ლელა სამნიაშვილი

შემდეგ პროგრამებში მოხდა საგნების ჩანაცვლება:

„კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში“:

“ქცევითი ნეირომეცნიერება“ (მაზიაშვილი) ჩანაცვლდა საგნით – „კოგნიტური და ქცევითი დარღვევების ფიზიოლოგიური საფუძვლები“ (ნ. დორეული).

„ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიურ შეფასებასა და კონსულტირებაში“:

„ფსიქოლოგის როლი სასამართლოში (ბავშვები და მოზარდები)“(საამიშვილი)– ჩანაცვლდა საგნით – „ფსიქოლოგის როლი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში“ (თ. ბანძელაძე).

აზრი გამოთქვეს:
ასოც.პროფ.-მა ი. ჟვანიამ ქ-ნ მ. მელიქიშვილს სთხოვა არგუმენტაციის წარმოდგენა ფსიქოლოგიის საბაკალავრო კურიკულუმიდან ამოსაღებ საგნებთან დაკავშირებით. ასოც.პროფ.-მა მ. მელიქიშვილმა ამ საკითხზე საბჭოს ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდა.

კენჭი უყარეს: საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და სილაბუსებში წარმოდგენილ ცვლილებებს.

მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებსა და სილაბუსებში.

2.2. *ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების დამტკიცება.*

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოც./პროფ. მ. მელიქიშვილმა საბჭოს მოახსენა, რომ ფაკულტეტზე წარმოდგენილია ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომლებსაც ის საბჭოს წარუდგენს დასამტკიცებლად. ესენია:

1. სამაგისტრო პროგრამა „იურიდიული ფსიქოლოგია"; ხელმძღვანელი – ასოც. პროფ. ვ. ნადარეიშვილი,
2. სადოქტორი პროგრამა „პოზიტიური ფსიქოლოგია–ემპირიული კვლევები"; ხელმძღვანელები: ასოც. პროფ. -ები ხ. მარწყვიშვილი; ლ. ხეჩუაშვილი; მ. მესტვირიშვილი.
3. სადოქტორო პროგრამა „საერთაშორისო და შედარებითი განათლება"; ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ი. პეტრიაშვილი.

აზრი გამოთქვეს:
პროფ. თ. გაგოშიძემ აღნიშნა, რომ ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ფაკულტეტის კურიკულუმს, სტუდენტებს უფრო მრავალფეროვან არჩევანს შესთავაზებს განათლების მაღალ საფეხურებზე და საბჭოს შესთავაზა, მხარი დაეჭირა წარმოდგენილი პროგრამებისთვის.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
დამტკიცდეს სამაგისტრო პროგრამა „იურიდიული ფსიქოლოგია" (ვ. ნადარეიშვილი), სადოქტორო პროგრამები: „პოზიტიური ფსიქოლოგია–ემპირიული კვლევები"(ხ. მარწყვიშვილი; ლ. ხეჩუაშვილი; მ. მესტვირიშვილი), „საერთაშორისო და შედარებითი განათლება" (ი. პეტრიაშვილი).

3.თსუ პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტპროფესორი შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №1 12/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისი საფაკულტეტო რეგულაციის მიღება.

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფ.-მა ლ. სურმანიძემ საბჭოს შეახსენა სამეცნიერო პროდუქციის ჩამონათვალი, რომელიც უნდა განახორციელოს პროფესორმა; მან აღნიშნა, რომ წინამდებარე დადგენილება ყველასთვის ცნობილია და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში პროფესორთა მიმართ არსებული მოთხოვნების თაობაზე ფაკულტეტმა ადრეც იმსჯელა. ამ დადგენილების შესაბამისი საფაკულტეტო რეგულაციისთვის ლ. სურმანიძემ

საბჭოს შესთავაზა პროფესორის მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის აღსაწერად კონფიგურაციის სამი ვარიანტი: საფაკულტეტო, საინსტიტუტო და ინდივიდუალური.

აზრი გამოთქვეს:
ასოც.პროფ.-მა ლ. ხეჩუაშვილმა აღნიშნა, რომ საფაკულტეტო ან საინსტიტუტო სტანდარტი შეზღუდავს პროფესორის თავისუფლებას სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისას, მისი აზრით, უმჯობესი იქნება, პროფესორმა თავად, ინდივიდუალურად განსაზღვროს, რა სახის სამეცნიერო პროდუქციის წარმოდგენას შეძლებს 1 წლის განმავლობაში. ასოც. პროფ.-მა ი. პეტრიაშვილმა მხარი დაუჭირა ლ. ხეჩუაშვილის მოსაზრებას.

საბჭომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და უპირატესობა მიანიჭა პროფესორის მიერ განხორციელებული სამეცნიერო საქმიანობის წარმოდგენის ინდივიდუალურ ვარიანტს.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
დამტკიცდეს თსუ აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ" აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" აკადემიური საბჭოს დადგენილებით გათვალისწინებული პროფესორის სამეცნიერო პროდუქციის მინიმალური სტანდარტი. პროფესორი თავად განსაზღვრავს, რა სახის სამეცნიერო პროდუქციას წარმოადგენს 1 წლის განმავლობაში და აცნობებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს საკუთარ გეგმას.

4.სხვა:

4.1 სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულთა, მათ შორის **ია ანდრიაძის** აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) აღდგენისა და ნომრისა და თარიღის განსაზღვრის შესახებ.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 2007 წლის კურსდამთავრებულ ია ანდრიაძის დიპლომის დანართის დამზადება დროულად ვერ მოხერხდა, რადგან ფაკულტეტზე არ იძებნებოდა მისი პირადი ნომერი, დიპლომის დანართში კი პირადი ნომრის მითითება აუცილებელია. აღნიშნული ფაქტი გაირკვა მოგვიანებით, როდესაც სასწავლო დეპარტამენტმა გამოაგზავნა იმ კურსდამთავრებულების სია, რომელთა დიპლომი არ იყო დამზადებული. ია ანდრიაძის პირადი ნომრის დაზუსტება შესაძლებელი გახდა

მხოლოდ მას შემდეგ, რაც კურსდამთავრებულმა მოაკითხა თსუ-ს დიპლომის ასაღებად.

დიპლომისა და დანართის მომზადებისთვის საჭიროა N55/01–01 16.04.2014წ. რექტორის ბრძანების შესაბამისად, დიპლომის ფორმისათვის განსაზღვრული სავალდებულო მონაცემების შექმნა.

ფაკულტეტი ვალდებულია ია ანდრიაძის სახელზე გასცეს დიპლომი მოქმედი ფორმით, რომელიც ითვალისწინებს აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების თარიღისა (რიცხვი, თვე, წელი) და ნომრის მითითებას. (რექტორის N55/01–01 16.04.2014 წ. ბრძანების შესაბამისად).

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ ია ანდრიაძე 2002 წელს ჩაირიცხა ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე ბრძანებით №4/970 21.08.2002 წ.

რექტორის მიერ გამოცემულ 2007 წლის 10 აგვისტოს №774/01–04 ბრძანებიდან გამომდინარე ია ანდრიაძეს მიენიჭა სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ფსიქოლოგიის სპეციალობით. სპეციალობა: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია

წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა (ნაწილობრივ)სიას :

მიენიჭოთ სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეთ შესაბამისი დიპლომი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობის 2007 წლის კურსდამთავრებულებს:

სპეციალობა: შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია

საბიუჯეტო სექტორი

1. აბესაძე ნათია
2. ბუაძე თეონა
3. გოგიშვილი თამარ
4. კალანდაძე გვანცა
5. კვარაცხელია ია
6. სიჭინავა ანა
7. ყურაშვილი ნინო
8. მეტრეველი სოფიო

არასაბიუჯეტო სექტორი

1. აფთარაშვილი ქეთევან
2. ანდრიაძე ია
3. ედილაშვილი ქეთევან
4. კუნჭულია დინა
5. ზანგურაშვილი გიორგი
6. მიქელაშვილი სოფიო

7. ღოლიჯაშვილი ნინო
8. როსტომშვილი სოფიკო
9. ცირეკიძე თეა
10. ხურცილავა ნოდარ

ვინაიდან საქმის გარემოებებიდან გამომდინარე ვერ დგინდება ია ანდრიაძის სახელზე გასაცემი დიპლომის ფორმისათვის სავალდებულო მონაცემების, კერძოდ, აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) ნომერი და თარიღი, მიზანშეწონილად მიგვაჩნია განისაზღვროს მის დიპლომში მისათითებელი სავალდებულო რეკვიზიტები.

ოქმის დანართების სახით აღდგენილად ჩაითვალოს აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ადრე მიღებული გადაწყვეტილებები და გადაწყვეტილებებში არსებული ინფორმაცია. ამ გადაწყვეტილებათა თარიღად პირობითად განისაზღვროს რექტორის მიერ გამოცემული აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანების გამოცემის თარიღი, ხოლო ნომრად - რექტორის მიერ გამოცემული ბრძანების ნომერი ინდექსის გარეშე, რომელსაც წილადის შემდეგ დაემატება ასო „პ" (პირობითი) ნომრის პირობითობის აღსანიშნავად. ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში

კენჭი უყარეს:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის 2007 წლის კურსდამთავრებულთა, მათ შორის **ია ანდრიაძის,** აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების (ოქმის) თარიღად განისაზღვროს **2007 წლის 10 აგვისტო** და ნომრად **№774/3**, ხოლო მინიჭებულ აკადემიურ ხარისხად სოციალურ მეცნიერების ბაკალავრი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, ძირითადი დარგი – შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგია.

4.2. ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის კურსდამთავრებულ **მარინე კაჭარავას** მინიჭებული კვალიფიკაციისა და აკადემიური ხარისხის დაზუსტება.
თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 2001 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა მარინე კაჭარავამ რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ მარინე კაჭარავა 1997 წელს ჩაირიცხა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დასწრებული სწავლების ფსიქოლოგიის სპეციალობაზე.

2001 წელს (ბრძ. #4/597, 09.07.2001 წ.) ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის სწავლების სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით კურსდამთავრებულ მარინე მალხაზის ასულ კაჭარავას მიენიჭა ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, ფსიქოლოგიის ბაკალავრი.

ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის 16 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი#7) გადაწყვეტილებით სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების კურსდამთავრებულ მარინე კაჭარავას მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.

2001 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 57-მა ბაკალავრმა. წარმოგიდგენთ ზემოარნიშნულ კურსდამთავრებულთა ნაწილობრივ (სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის) სიას:

„მიეცეთ შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის დღის სწავლების სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით კურსდამთავრებულებს და მიენიჭოს ფსიქოლოგიის კვალიფიკაცია, ფსიქოლოგიის მასწავლებელი, ფსიქოლოგიის ბაკალავრი:

დიპლომი წარჩინებით

1. გვერდწითელი ეკატერინე მიხეილის ას
2. ონიანი თამილა ჯობეს ას
3. წულაია ია ზურაბის ას
4. მაისურაძე სოფიო კარდოს ას
5. კერესელიძე მანანა თამაზის ას
6. ბარამაშვილი მაია გილარის ას

დიპლომი ჩვეულებრივი

1. ეჯოშვილი თეონა ვახტანგის ას
2. მენაბდე ინგა ალიოშას ას
3. რამიშვილი ქეთევანი ისიდორეს ას
4. სოხაძე გვანცა ოთარის ას
5. სამნიაშვილი თამარ რამაზის ას
6. ტყემალაძე მაია ტრისტანის ას
7. ღვინჯილია მაია ლევანის ას
8. კაჭარავა მარინე მალხაზის ას
9. კოკელაძე ნანი რობერტის ას
10. გედეხაური ნინო მიხეილის ას

ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებაში და ოქმში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2001 წლის

კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის მარინე კაჭარავას კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.
შევიდეს შესწორება ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 2001 წლის შემაჯამებელი სხდომის ოქმებში:
2001 წლის 16 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#7-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი.
2001 წლის 15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#1-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;
2001 წლის 16 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#4-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;
2001 წლის 15 ივნისის **შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის** სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#5-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობა ფსიქოლოგიის მასწავლებელი.
ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.

კენჭი უყარეს:
მომხრე - 27
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:
შევიდეს შესწორება 2001 წლის 16 ივნისის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#7-ში და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის ბაკალავრიატის 2001 წლის ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულებს, მათ შორის **მარინე კაჭარავას** მინიჭებულ აკადემიურ ხარისხად განესაზღვროთ: სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი.

2001 წლის 15 ივნისის ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#1-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ზოგადი ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;
2001 წლის 16 ივნისის ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#4-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის სპეციალობა, ფსიქოლოგიის მასწავლებელი;
2001 წლის 15 ივნისის შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#5-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობის კურსდამთავრებულთათვის:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაცია, შრომისა და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სპეციალობა ფსიქოლოგიის მასწავლებელი.
ზემოაღნიშნული პირობა გავრცელდება ბრძანებაში მითითებულ ყველა კურსდამთავრებულზე და მათ დიპლომებში ცვლილება განხორციელდება ინდივიდუალურად მომართვის შემთხვევაში.
ეცნობოს თსუ-ს ადმინისტრაციას შეიტანოს შესაბამისი ცვლილება რექტორის ბრძანებაში (#4/597, 09.07.2001 წ.)

4.3. ფსიქოლოგიის ფაკუკლტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულ **თამარ ჯიშკარიანის** კვალიფიკაციის მინიჭების ოქმის დიპლომის გაცემის შესახებ ბრძანებასთან შესაბამისობაში მოყვანა.
თსუ–ს რექტორს განცხადებით მიმართა 2005 წლის ფსიქოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა თამარ ჯიშკარიანმა რომელიც ითხოვს მის სახელზე დიპლომისა და დანართის ახალი ფორმით დამზადებას.
ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება და დადგინდა, რომ თამარ ჯიშკარიანი 2003 წელს (ბრძ. #4/1293, 10.10. 2003 წ.) გადმოყვანილ იქნა ქ.თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან.
2005 წელს (ბრძ.#4/709, 04.08.2005 წ.) თამარ ჯიშკარიანს მიენიჭა ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.
ფაკულტეტის საბჭოს 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის (ოქმი #8) გადაწყვეტილებით თამარ ჯიშკარიანს მიენიჭა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით.
2005 წელს აღნიშნული ბრძანებით საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულა 86-მა ბაკალავრმა. წარმოგიდგენთ ზემოაღნიშნულ კურსდამთავრებულთა ნაწილობრივ (სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის) სიას:

„მიენიჭოს ფსიქოლოგიის ბაკალავრის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და მიეცეს შესაბამისი დიპლომი ფსიქოლოგიის ფაკულტეტის სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობის, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით დღის სწავლების საბიუჯეტო სწავლების შემდეგ კურსდამთავრებულებს:

ჩვეულებრივი დიპლომი

1. გაგოშაშვილი მარიამი
2. თარხანმოურავი ნინო
3. ლონდარიძე სოფიო
4. მამაცაშვილი თეონა
5. ჭანტურია გიორგი
6. ჯარიაშვილი თამარი
7. წიკლაური თამარი
8. ჯაფარიძე ელენე
9. ჭილაძე ანა
10. **ჯიშკარიანი თამარი**

წარჩინების დიპლომი

1. ალელიშვილი ნინო
2. კოკელაძე მაგდა
3. ქოქოსაძე ნინო
4. მუხათგვერდელი თეა
5. ყვავილაშვილი ნატო
6. თოფურია ლელა

ვინაიდან აღნიშნულ ბრძანებაში და ოქმში მითითებული კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი ერთმანეთს არ ემთხვევა ფაკულტეტმა უნდა დააზუსტოს ფსიქოლოგიის ფაკულტეტის 2005 წლის კურსდამთავრებულთათვის, მათ შორის თამარ ჯიშკარიანის კვალიფიკაცია და აკადემიური ხარისხი.

შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#8-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:

ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით.

საქმის წარმოებისას გაირკვა, რექტორის ბრძანებაში #4/709, $ 4, 04.08.2005 წ. დაშვეულია ტექნიკური შეცდომა და ნაცვლად სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტისა დაფიქსირებულია ფსიქოლოგიის ფაკულტეტი (2005 წლის მაისიდან ფსიქოლოგიის ფაკულტეტი აღარ არსებობდა).

ეცნობოს ადმინისტრაციას შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რექტორის ბრძანებაში #4/709, $ 4, 04.08.2005 წ.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 27

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

შევიდეს შესწორება 2005 წლის 28 ივნისის შემაჯამებელი სხდომის ოქმი#8-ში და დაფიქსირდეს შემდეგი კვალიფიკაცია:
ფსიქოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ფსიქოლოგის კვალიფიკაციით, სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით.
ეცნობოს ადმინისტრაციას შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები რექტორის ბრძანებაში #4/709, $ 4, 04.08.2005 წ. როგორც კვალიფიკაციის ასევე ფაკულტეტის დაზუსტების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე: პროფესორი
თამარ გაგოშიძე / [signature] /

სხდომის მდივანი: პროფესორი
ლალი სურმანიძე / [signature] /